ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 618

25 ნოემბერი
"___" _____ 2022 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, შოთა რუსთაველის გამზირი №31-ის მიმდებარედ არსებული 266 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ. №01.15.04.013.009) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „სილქ როუდ ბიზნეს ცენტრისთვის" (ს/ნ. 203825851) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, შოთა რუსთაველის გამზირი №31-ის მიმდებარედ არსებული 266 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.15.04.013.009) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „სილქ როუდ ბიზნეს ცენტრისთვის" (ს/ნ. 203825851) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 16 ნოემბრის №22.1744.1906 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, შოთა რუსთაველის გამზირი №31-ის მიმდებარედ არსებული 266 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ. №01.15.04.013.009) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „სილქ როუდ ბიზნეს ცენტრისთვის" (ს/ნ: 203825851) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 42960 (ორმოცდაორი ათას ცხრაას სამოცი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე